MES 0 21 0001042401

06/10/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსს ხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2021 წლის 22 სექტემბერს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)
დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).
თამარ ვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;
ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;
ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
მარინა ქორიძე - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;
ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:
ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ალავიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი:
თამარ ლაჩაშვილი - იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი

2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი:
ნათია მიქელთაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
გელა გვარიშვილი - რექტორის მოადგილე, პროფესორი;
გიორგი გაბედავა - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
ქეთევან გოლეთიანი - ლოგისტიკის ფაკულტეტის დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):

ია მოსაშვილი;
ნინო ამირანაშვილი;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებების შეწყვეტის საკითხების განხილვა;
2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებების შეწყვეტის საკითხების განხილვა;
2. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებების შეწყვეტის საკითხების განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა, განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს, საბჭოს წევრებისათვის წარმოედგინა შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო ალავიძემ განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, მიმდინარე წლის 5 თებერვალს, 11 თებერვალს და 17 მარტს დაფიქსირდა სამი განმცხადებლის განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის №93319; № 244131; №82014) რომლებიც შეეხებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიმართ გარკვეულ გარემოებებს. ცენტრის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ აღნიშნული გარემოებები იყო ერთმანეთის მსგავსი. შესაბამისად პირველ და მეორე განმცხადებლის მეირ წარმოდგენილ გარემოებებთან დაკავშირებით, ცენტრმა მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს გაერთიანებული წერილით და გამოითხოვა შესაბამისი დოკუმენტაცია, რაზეც დაწესებულებამ წარმოადგინა საკუთარი პოზიცია და საჭირო მასალები. რაც შეეხება 17 მარტს წარმოდგენილ განაცხადს, ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განცხადებაში გამოიკვეთა დამატებითი გარემოება, რომელიც განსხვავდებოდა პირველი ორი განმცხადებლის განაცხადში დაფიქსირებული გარემოებებისგან და ძირითადად შეხებოდა სასწავლო კურსის დასრულების შემთხვევაში ან ვერ ჩაბარების შემთხვევაში სტუდენტის უფლებებს. ხოლო პირველი ორი განაცხადი შეეხებოდა საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურებს, ასევე ფიზიკურ პირებს და სააგენტოებს, რომლებიც ახორციელებდნენ აღნიშნულ დაწესებულებაში საერთაშორისო სტუდენტების მოყვანას.

ცენტრის წარმომადგენელმა, ასევე განმარტა, რომ ზემოთ ხსენებულ განაცხადებებში, მოცემული იყო გარემოებები, რომლებიც ეხებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების კომპონენტების დარღვევის შესაძლო ფაქტებს და ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. მისი თქმით, ვინაიდან ავტორიზაციის სტანდარტების შესაძლო დარღვევის ფაქტები გაქარწყლდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციებით და დოკუმენტებით, შემდგომ ცენტრმა წერილობით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და დაიწყო შესაბამისი საქმისწარმოება. შესაბისად ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ შეწყვეტილიყო მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ საბჭო წევრები იცნობდნენ აღნიშნულ კორესპონდენციებს და მისი მოსაზრებით დაწესებულება ამომწურავად პასუხობდა ყველა დასმულ შეკითხვას, ხოლო ცალკე გამოყოფილი წარმოების შეფასება არ შედიოდა საბჭოს კომპეტენციაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია.

დაწესებულების წარმოამდგენელს მოსაზრება არ დაუფიქსირებია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები ან მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 16:20

საბჭოს სხდომა განახლდა 16:23

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 1
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილული განცხადებების (ცენტრში რეგისტრაციის №93319; №244131; №82014), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოებები სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

16:25 სთ-ზე სხდომას შემოუერთდა ეკა ეკალაძე.

2.შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს,

იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა აღნიშნა რომ აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფი, იმყოფებოდა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში ავტორიზაციის ვიზიტის დროსაც და შესაბამისად საკმაოდ კარგად იცნობდნენ დასკვნას და ფაქტობრივ გარემოებებს. ექსპერტის თქმით, მუშაობის პროცესში უნივერსიტეტისგან ექსპერტთა ჯგუფთან კომუნიკაცია იყო დროული, ხოლო სამუშაო პროცესი და შეხვედრები წარიმართა თანამშრომლობით რეჟიმში. ექსპერტმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა მე-2 და მე-6 სტანდარტები, რასთან დაკავშირებითაც იყო გაცემული რეკომენდაციები. მისი თქმით, უნივერსიტეტს რეკომენდაციების უმრავლესობა შესრულებული ჰქონდა, ხოლო ნაწილი, რაზეც ექსპერტთა ჯგუფმა დაწერა, რომ ნაწილობრივ იყო შესრულებული, ექსპერტის განმარტებით გულისხმობდა იმას, რომ მიმდინარეობდა რეკომენდაციების შესრულების პროცესი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ამირანაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესშიც მიიღო მონაწილეობა და დასაფასებელი იყო რომ დაწესებულების, როგორც ადმინისტრაცია, ასევე თანამშრომლები მაქსიმალურად იყვნენ ორიენტირებულები რომ დახმარებოდნენ ექსპერტთა ჯგუფს. ექსპერტის თქმით, დარჩა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა, რაც მისი ვარაუდით შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო პანდემიური მდგომარეობით. რეკომენდაციები შეეხებოდა სტანდარტ 2-ს და სტანდარტ 6-ს. რეკომენდაციები ძირითადად შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციას, სტრუქტურული ერთეულების შექმნას და მოდიფიცირებას, ასევე სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების საკითხებს. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, ასევე შეიქმნა სტრუქტურული ერთეულები ინტერნაციონალიზაციის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების მხრივ. რეკომენდაცია სტანდარტ II-თან დაკავშირებით სრულად იქნა შესრულებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რჩევა, რომელიც დატოვა ექსპერტთა ჯგუფმა, შეეხებოდა სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდას პრაქტიკის და დასაქმების სამსახურის ფუნქციების შესახებ, რადგან ექსპერტის განმარტებით ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტების ნაწილმა აღნიშნული სამსახურის შესახებ არ იცოდა, თუმცა ექსპერტის თქმით, დასაქმების მაჩვენებლი გაზრდილი იყო.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა რომ დარჩა რამდენიმე რეკომენდაცია, რადგან დაწესებულება გეგმავდა გაზრდას, განვითარებას და პროგრამების დამატებას, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობდა, რომ შემდგომი განვითარებისათვის პერსონალის საქმიანობის შეფასების მონაცემების გამოყენებას საჭირო იყო ჰქონოდა სისტემური და ციკულური ხასიათი.

ექსპერტმა გააჟღერა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები:

1. უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის საჭიროა პერსონალის საქმიანობის შეფასების მონაცემების გამოყენებას ჰქონდეს სისტემური და ციკლური ხასიათი. ამასთანავე, გაძლიერდეს ადამიანური რესურსების სამსახურის როლი და გაიზარდოს მისი ჩართულობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების პროცესში;
2. მნიშვნელოვანია გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რესურსი კითხვარების შედგენის მეთოდოლოგიის დახვეწისა და ონლაინ გამოკითხვების ჩატარების დანერგვის მიმართულებით.
3. მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისას აქტიური და პასიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობისა და პროგრამიდან განთესვის მაჩვენებლის გარდა, უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (მაგ: მატერიალური რესურსი, აკადემიური პერსონალის რაოდენობა).

ექსპერტმა ასევე ხაზი გაუსვა რომ ეთიკის და კეთილსინდისირების პრინციპების დაცვასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის ყველა რეკომენდაცია სრულად იყო შესრულებული უნივერსიტეტის მიერ.

ექსპერტთა თავმჯდომარემ, განმარტა, რომ მე-6 სტანდარტში არ იყო გაცემული რეკომენდაციები და იყო მხოლოდ რჩევები. მისი თქმით, ავტორიზაციის ვიზიტის შემდგომ ჩანდა, რომ შეიქმნა კვლევების ცენტრი, რომელიც ნამდვილად ფუნქციონირებდა, რაც გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ასევე უნივერსიტეტმა გააძლიერა საერთაშორისო ურთიერთობები, ამოქმედდა კვლევის მიმართულებით წამახალისებელი მექანიზმები.
მე-6 სტანდარტთან დაკავშირებული რჩევები:

1. სასურველია უფრო მეტი კავშირები ეკონომიკურ აგენტებთან კვლევითი საქმიანობის შედეგების გაზიარების მიზნით;
2. სასურველია მოხდეს სტუდენტთა მეტი ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფრომა აღნიშნა, რომ აბსოლუტურად მართებულად მიაჩნდა ყველა რეკომენდაცია და რჩევა რომელიც გაცემული იყო და ძალაში დარჩა. დაწესებულება შეასრულებდა ყველა რეკომენდაციას. დაწესებულების წარმომადგენელმა კონრეტულად ისაუბრა თითოეულ რეკომენდაციაზე. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „პერსონალის საქმიანობის შეფასების მონაცემების გამოყენებას ჰქონდა სისტემური და ციკლური ხასიათი, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას უკვე დაწყებული ჰქონდა ადამიანური რესურსების სამსახურის დებულებაში ცვლილებებზე მუშაობა. ხარისხისა და ადამიანური რესურსების სამსახურები ერთად მუშაობდნენ აღნიშნულ ცვლილებებზე. მათ სურდათ „HR" სამსახურის დაფარვის არეალის გაფართოვება და მისი მეტად აქტიურად ჩართვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების პროცესებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მათი შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრეროგატივა იყო და მათ შეფასებას ჰქონდა სისტემატური და ციკლური ხასიათი, სწორედ, წინა წლის შედეგების ანალიზზე და აკადემიური წლის მუშაობის კომპლექსურ შეფასებაზე იდგა დაწესებულების შემდგომი სასწავლო წლის სამუშაო გეგმა. დაწესებულება აუცილებლად გეგმავდა აღნიშნული მიმართულების გაძლიერებას და „HR"-ის სამსახურის ჩართვას ამ მიმართლებით პროცესებში. მეორე რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რესურსის გაზრდას" შეეხებოდა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიესალმებოდნენ ზოგადად ყველა მიმართლებით რესურსის გაზრდას. იმ ეტაპზე, დაწესებულებაში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გადაემზადებინათ ახალი კადრი, რომელიც იმ ეტაპზე მუშაობდა არა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, არამედ - საინფორმაციო სამსახურში. ახალი თანამშრომელი გადაემზადებინათ აღნიშნული მიმართულებით და მიეცათ საშუალება, ემუშავა ელექტრონული გამოკითხვების ადმინისტრირების მიმართულებით და ეს პროცესი პრაქტიკულად უკვე დაწყებული იყო დაწესებულებაში, უკვე შერჩეული იყო მისთვის შესაბამისი კურსი, რომლის შედეგადაც დაწესებულება მიიღებდა სრულფასოვან თანამშრომელს, რომელიც მოემსახურებოდა ელექტრონულ გამოკითხვებს, კითხვარების შედგენა-შემუშავებას. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კონტინგენტის დაგეგმვის საკითხზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა რომ დაწესებულებაში კონტინგენტის

დაგეგმვა კონკრეტული დოკუმენტის შესაბამისად ხდებოდა, კერძოდ დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით. მისი თქმით, ინსტიტუცია ითვალისწინებდა აკადემიური პერსონალის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობას და რეგულირებადი პროგრამის პირობებში ყოველთვის ითვალისწინებდნენ დასაქმების მაჩვენებელს, რომლიც ინსტიტუციისთვის იყო ერთ-ერთი განმაპირობებელი იმისა, თუ რა რაოდენობის სტუდენტის ათვისება დაიგეგმებოდა ახალი ეტაპისათვის, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნული საკითხები არ იყო გაწერილი მეთოდოლოგიაში დეკლარირებულად, მიუხედავად იმისა, რომ ფაკულტეტის საბჭოს მიერ, როდესაც განიხილება მომდევნო წლის კონტიგენტის განსაზღვრა, აღნიშნული საკითხების განხილვა ყოველთვის ხდებოდა. რჩევებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითოეული მათგანი აუცილებლად შესასრულებლად მიაჩნდათ და რამდენიმე რჩევასთან მიმართებაში უკვე დაწყებული იყო მუშაობა, ხოლო რამდენიმე რჩევა გათვალისწინებული იქნებოდა 2021-2022 სასწავლო წლისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრი, ერმილე მესხია დაინტერესდა, რეკომენდაციის „მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისას აქტიური და პასიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობისა და პროგრამიდან განთესვის მაჩვენებლის გარდა, უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (მაგ: მატერიალური რესურსი, აკადემიური პერსონალის რაოდენობა)“ გაცემა ფორმალურ მხარეს ეყრდნობოდა თუ რომელიმე გარემოება ჰქონდათ ექსპერტებს მხედველობაში.

ექსპერტმა, ნინო ამირანაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა კონტიგენტის დაგეგმვის წესი და ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით კონტიგენტს უნდა გეგმავდეს აღნიშნული წესის შესაბამისად. ექსპერტის თქმით, რადგან ეს საკითხი აქტუალური იყო წინა ავტორიზაციის დროს, ექსპერტებმა პირველ რიგში გადაამოწმეს აღნიშნული წესი და ნახეს იყო თუ არა გათვალისწინებული წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია. ფაქტობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსი ამ ეტაპზე ნამდვილად აკმაყოფილებდა სტუდენტთა საჭიროებებს, თუმცა ექსპერტის თქმით დაწესებულება გეგმავდა გაზრდასა და განვითარებას, რაც ასევე გულისხმობდა სტუდენტებისა და პროგრამების რაოდენიიბის გაზრდას და აქედან გამომდინარე ექსპერტებმა საჭიროდ ჩათვალეს აღნიშნული რეკომენდაციის დატოვება.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 16:35
საბჭოს სხდომა განახლდა 16:37

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 2
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 16:38 ს-თზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე
ზარანდია თამარ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით